წელიწადი 1-ლი | ტელეფონი № 76. | პარასკევი 21 აპრილი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . 8 მან.
თვიურათ . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიანთ ნაწილნაწილათ გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე პეტიტით ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი რამათ სამელოდ [illegible] განცხადების დაბეჭ-დვა თითოეჯერ არა უმეტეს სამ გამომცემლობის [illegible] შემდეგ [illegible]
2 საათის შემდეგ . 6 მ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისს ქ. ს. მიქელაძის ს.

№ 10 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 10

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამედროვე ახალგაზრდობის საყურადღებოთ
სამშაბათს, 25 აპრილს ქ. ქუთაისში დანიშნულია
სრულიად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მოსწავლე ახალგაზდობის (სტუდენტებისა და საშ. სასწ. მოწაფეების)

## კონფერენცია.

შენიშვნა: კონფერენციაში დაესწრება ორ-ორი დელეგატი არა ადგილების მიხედვით, არამედ იმ სასწავლებლის მიხედვით, სადაც პარტიული ორგანიზაცია არსებობს, განურჩევლად სქესისა. დელეგატებს თან უნდა ჰქონდეს პარტიული მანდატი. ბინის შესახებ იკითხეთ „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციაში.

კონფერენციის მომწყობი კომისია.

მიხეილ (მიშა) ლუარსაბის ძე ლორთქიფანიძე და მეუღლე მისი პელაგია მჟავანაძის ასული, ლუარსაბ რევაზის ძე ლორთქიფანიძე და მეუღლე მისი გულჩინა ნიჟარაძის ასული, საულ ლუარსაბის ძე ლორთქიფანიძე და მეუღლე მისი მარიამ ლორთქიფანიძის ასული გულითადის მწუხარები, აუწყებენ ნათესავთა ნაცნობთა და მეგობართ პირველთა დაუვიწყარ შვილის, მეორეთა საყვარელ შვილიშვილისა და მესამეთა ძვირფასი ძმის წულის

**ნინო (მიშა)ს ლორთქიფანიძის ასულის**

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება სამშათს, 18 აპრილს სოფ. სალხინოში. 2—1

**სატახტო ქალაქის ცირკი ძმ. ევიმოვებისა.**

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.
პარასკევს, 21 აპრილს დიდი არაჩვეულებრივი წარმოდგენა საუკეთესო დაჯილდოებულ მსახიობთა მონაწ.

**უ მოჯირითეს შეჯიბრება.**

დირექციამ საჩუქრად 50 მან. დანიშნა. დღეს გამოდიან ყველა ოხუნჯები და ხუმარები. პირველად დღეს დიდი სახუმარო პანტომიმა. **კაფე-შანტანი.** დასაწყისი საღამოს ცხრას ნახევარ საათზე.
ანონსი: 4 ეშმაკის გასტროლები. 2—2

## ქუთაისის ქალთა

გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო აცხადებს, რომ სასწავლებელში შესასვლელი და მოწმობის მისაღები გამოცდები დაიწყება 2 მაისს. თხოვნები მიიღება მხოლოდ 1 მაისამდე. 1—693—1

**ელექტრო „რადიუმ“ თეატრი**

17 აპრილიდან ახალი პროგრამა.
„40 ათასი ქერა ქალი“, მელოდრამა 2 ნაწილად. „ჩვენი დიასახლისი“, ფარსი 4 ნაწილად ცნობილ მსახიობთა მონაწილეობით.

**ანონსი:** 20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. **დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფალ რუსეთს!** პოლიტიკურ მომენტის კინო ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

**ელექტრო ამპირ თეატრი**

17 აპრილიდან ახალი პროგრამა. „გომონის ქრონიკა“, მიმდინარე ამბები.
„სიხარული იქნება“, დრამა 5 ნაწ. პარიზის საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.
„შიდიდან გაფრინდა“, სახუმარო.

**ანონსი:** 20 აპრილიდან ფრიად საინტერესო პროგრამა. დიდებული დაკრძალვა რევოლიუციის მსხვერპლთა პეტროგრადში 23 მარტს. ძირს ხუნდები! გაუმარჯოს თავისუფლებას! პოლიტიკურ მომენტის კინო-ილიუსტრაცია. საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

## შაბიამანი

და საჭმლისათვის ღვინისქვის სიმჟავე იყიდება
„კავკასიაში ტექნო-ქიმიურ წარმოებათა ამხანაგობაში“.
თფილისი, ოლღას ქუჩა № 70. 6 5

## მამულიშვილნო!

დღევანდელი მომენტი განსაკუთრებულს ხარჯებს ითხოვს. შემოიტანეთ თქვენი წვლილი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისათვის, შემოწირულება მიიღება „ჩვენი ქვეყნის“ რედაქციის კანტორაში.

## დ ღ ე ს:

**წერილები:**

დ. გურული—საფრთხეს მოვერიდოთ!
ტრიფონ ჯაფარიძე—უნდა გასწორდეს.
ვასილ წერეთელი—გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“.
რუსეთ ფინეთის ურთიერთობა
ბუაჩიძე—არის თუ არა ეხლა დრო კერძო შურის ძიებისა
სომხური პრესა.

**ცნობები:**

დეპეშები: რევოლიუციის ამბები.
ომის დეპეშები.
ჟურნალ გაზეთებიდან.
უცხოეთი.
უკანასკნელი ამბები.
რუსეთი: დეზერტირობა, გლეხობა.
ეროვნული კითხვა.
ადგილობრივი ქრონიკა.
წერილი რედაქციის მიმართ.

## განცხადება.

ვაჭარმა გერმანე სულაბერიძემ მიიღო რამდენიმე ვაგონი დაბალიქხარ. **სიმინდი**, რომელიც გამოდგება საქონლის საკვებად. ფასი ფუთი 1 მ. და 40 კაპ. ადრესი: ქუთაისი, ბალახვანის ქუჩა. 6-2

## საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული

პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიის ყველა წევრებს მცკიცედ შეჰკრან კავშირი პროვინციაში — როგორც ქალაქებში, ისე სოფლად.

## მოწოდება.

ქართველო ხალხო განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა ესწრაფეთ დაიმუშავოთ ყოველივე ნაჭერი თავისუფალი ადგილისა, დაეხმარეთ ერთმანეთს, დასთესეთ საჩქაროთ უფრო პური, სიმინდი, ქერი, ფეტვი, კარტოფილი და ბოსტნეული, რომ ერმა თავი დააღწიოს უსაშინელეს კარზე მომდგარ სიმშილს. თუ ჩვენი მოსავალი არ მოგვივიდა, უბედურება ელის ერს. არ დაზოგოთ ფული და შრომა, რომ უზრუნველ ჰყოთ თქვენ თქვენი თავი და თქვენი ოჯახი. სხვისი იმედი ნუღარ გაქვთ.

## საფრთხეს მოვერიდოთ.

ზუგდიდის მაზრიდან იმისთანა სამწუხარო ცნობები მოგვდის, რომელნიც ყოველ ცოტა თუ ბევრათ შეგნებულ ადამიანს ღრმათ დააფიქრებენ. გაჩენილა იქ გლეხთა იმისთანა ჯგუფი, რომელსაც განუზრახავს, თ-დი მინგრელსკის ქონება მიითვისოს. საქმე იქამდის მისულა, რომ იქაურ აღმასრულებელ კომიტეტს --როგორც შევიტყვეთ—საჭირო ზომები მიუღია, რათა ამ ვაჟბატონების ბოროტი განზრახვა სისრულეში არ მოვიდეს.

ჩვენ ხაზს უსვამთ იმას, რომ აქ მარტო ერთი ჯგუფი მოქმედებს საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოთ, მარტო ერთი ჯგუფი, ესე იგი რამოდენიმე შეუგნებელი ადამიანი, რომელთა მისწრაფებას სხვა ასი და ათასი არ იზიარებს. მაგრამ ეს მაინც ჩვენ საბაბს გვაძლევს, რამოდენიმე ზოგადი აზრი წარმოვსთქვათ შესახებ იმისა, თუ რას ნიშნავს გლეხთა ამგვარი გამოსვლა და რა შედეგს გვიქადის იგი დღევანდელ საფრთხილო მომენტში.

მოვიგონოთ, რომ დიდმა რევოლიუციამ ძველი მთავრობა ძირს დასცა, მაგრამ ნუ ვიფიქრებთ, რომ ცოცხლათ დამარხული მთავრობა საფლავში უკვე გახრწნილიყოს და აღდგომას არ ცდილობდეს.

მოვიგონოთ, რომ ძველი მთავრობის ადგილზე ამავე რევოლიუციამ ახალი მთავრობა აღმოაცენა, რომელსაც მოვლა და განმტკიცება ეჭირვება. მოვიყვანოთ ბოლოს ისიც, რომ პირველი ნაბიჯი ახალი მართველობისა, სხვათა შორის, იმაში გამოიხატა, რომ იმან საყოველთაოთ გამოაქვეყნა—**კერძო საკუთრება ხელშეუხლებელი უნდა დარჩესო.**

იგივე აზრი, იგივე კანონმდებლობის მიმართულება ამ საკითხში გაატარა ამიერ კავკასიის კომისარიატმა თავის ხალხისადმი მოწოდებაში, რომელიც ჩვენი გაზეთის მეხუთე ნომერში იყო მოთავსებული. ამ მოწოდებაში ასე არის ნათქვამი: „**სხვისი საკუთრების მიტაცება, ძალით ტყეების გაჩეხვა და სხვა ყოველგვარი მაღომრეობა და თვითნებობა შეუწყნარებელია**“

„**სხვისი საკუთრების ძალით მითვისება შეუწყნარებელიაო,**“ — ესე იგი, ვინც ამ დანაშაულს ჩაიდენს, ის სასტიკათ დასჯილი იქნებაო.

ახლა გამოსულა ზუგდიდის მაზრის რამოდენიმე მცხოვრები და სხვისი საკუთრების ძალით მითვისება განუზრახავს!

რას ნიშნავს ეს?

პირველათ იმას, რომ ზემოთ მოხსენებული ჯგუფი ახალ მართველობას ბრძოლას უწევს.

და ახალ მართველობასთან ბრძოლა, რაღა თქმა უნდა, ძველი მთავრობის მოტრფიალეთა მხარის დაჭერა არის. ნუ თუ ძნელი გასაგებია, რომ სოფლელთა ამგვარი მოქმედება კონტრ-რევოლიუციას გამოიწვევს და ჩვენ უკვე მოპოებულ თავისუფლებას სამუდამოთ დავკარგავთ!

დროა ყველამ შევიგნოთ, რომ დღევანდელი რევოლიუცია ბურჟუაზიულია. და ამიტომაც არის იგი ძლიერი და ნაყოფიერი, რომ ბურჟუაზიულია. ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების წინააღმდეგ ამხედრდენ არა მარტო სოციალისტები, არამედ საზოგადოების თითქმის ყველა სხვა კლასებიც, ყველა ელემენტებიც: თავად-აზნაურობა, სამღვდელოება, ვაჭრობა, გლეხობა და სხ. საქმე იქამდი მივიდა, რომ ჯარმაც, იმ ჯარმაც, რომელიც ყოველთვის თვითმპყრობელი მეფის ერთგული მცველი იყო,—ხალხს ამოუდგა გვერდით ძველი მთავრობის მოსასპობათ. ამ საერთო ბრძოლის ნაყოფია დღევანდელი დროებითი მართველობა.

და თუ გვინდა, რომ რევოლიუცია სასურველათ დამთავრდეს, ახალი მართველობა განმტკიცდეს და ძველი მთავრობის მოტრფიალენი სამუდამოთ დამარცხდენ,—საჭიროა, რომ ჩამოთვლილ ელემენტთა შორის, კლასთა შორის, რომელნიც დღეს ერთ ბანაკს წარმოადგენენ, ყოველივე ბრძოლა და უთანხმოება, დროებით მაინც, მოისპოს. თუ ამ აზრის განხორციელება ვერ შევიძელით,—ეჭვი ნურავის ექნება,—ცუდი შედეგი მოგველის...

გავიხსენოთ 1905 წელიწადი. მაშინდელი რევოლიუცია იმით შეიქნა უძლური და იმიტომ ვერ დამთავრდა რიგიანათ განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომ მაშინ ორნაირი ომი იყო გაჩაღებული: ერთი—ხალხსა და მთავრობის შორის, მეორე კი შინაური, თვით ხალხში, კლასთა შორის. გლეხი მემამულეს ებრძოდა, მუშა კაპიტალისტს და სხ. რასაკვირველია, ამ შინაურმა, ერთ ბანაკში ბრძოლამ ხალხი დაასუსტა და ამით მტერს—ძველ მთავრობას—ძალღონე მიეცა. მაშინ მოგვევლინენ ალიხანოვები, რომელთაც სრულიათ ააწიოკეს ჩვენი ქვეყანა ცეცხლითა და მახვილითა.

ვეცადოთ, ისტორია არ გამეორდეს. საფრთხეს მოვერიდოთ!

**დ. გურული.**

## უნდა გასწორდეს.

რუსეთის მთავრობის მოღვაწეობა საქართველოს საქმეების მართვა გამგეობაში მთელი საუკუნის განმავლობაში იყო დაუსრულებელი შეცდომა ბოროტ მოქმედება. მთავრობის შემადგენლობაში, საუბედუროთ ჩვენდა და მთელი რუსეთისა, ისეთი პირები იყვნენ ხოლმე, რომ ანბანური ჭეშმარიტებაც კი არ ესმოდათ. შეიძლება ესა თუ ის წარმომდგენელი რუსეთის ძველი მთავრობისა გულწრფელიც იყო და სამშობლოს სიყვარულითაც ხელმძღვანელობდა თავის მოღვაწეობაში, მაგრამ გაუგებრობა და წინ დაუხედავობა გზას უბნევდა და მისი მოქმედება ბოლოს ყველასათვის საზარალო გამოდიოდა. საერთოთ რომ ვსთქვათ შეიძლება კერძო ცოდნა და თეორეტიული მომზადება უმეტესობას კიდეც ჰქონდა ამათუ იმ დარგში, მაგრამ პოლიტიკის ცოდნა რომ არავის არ ეტყობოდა, ეს კი ცხადია. იხარჯებოდა სახელმწიფო ფულები, იწერებოდა ათას გვარი პროექტები, იგზავნებოდა აქეთ იქით უცნაური მოძღვრებით აღჭურვილი მოციქულები, არსდებოდა სხვა და სხვა

დაწესებულება: სამეურნეო, სამეცნიერო საქველმოქმედო, სასულიერო და სხვაგვარი, მაგრამ ნაყოფი კი ასეთ მოქმედებას არ მოჰქონდა. რუსეთის მთავრობის ასი წლის მოღვაწეობამ საქართველო ვერც გაანათლა, ვერც გაამდიდრა, ვერც გაამაგრა, ვერც აამაღლა და რაც უფრო სამწუხაროა ვერ დააახლოვა რუსეთთან, ვერ დააკავშირა მასთან, ზნეობრივად და სულიერათ.

რატომ მოხდა ეს?

იმიტომ, რომ რუსეთის მთავრობის მოღვაწეობა სწარმოებდა ყალბ ნიადაგზე და მუდამ ტრიალებდა ვიწრო გარუსების ფარგლებში.

დაიკარგა ბევრი შრომა მთავრობისა, ფუჭათ ჩაიარა პოლიტიკურმა მისწრაფებამ, გაცდა საქართველოც და ვერ გადადგა ფეხი წინ.

დღეს ყველაფერი ეს ცხადია, ამიტომაც დავგმოთ წარსული, შევიგნოთ აწმყოს საჭიროება და საჩქაროთ გავასწოროთ ის შეცდომა რომელიც ძველმა მთავრობამ ჩაიდინა. თუ ჩვენ ამას ცხადათ ავხსნით —ახალი მთავრობა ძველ შეცდომებს ველარ გაიმეორებს და ჩვენც სწორ გზაზე დავდგებით.

ერთი უწესო და უკანონო მოქმედება ძველი მთავრობისა წინა წერილში (*აღვნიშნე, იხ. № 8 მკითხველო, და დღეს მეორე მინდა აღვნიშნო.

რუსეთის ძველ მთავრობას ძლიერ სურდა, საქართველო საჩქაროთ გაერუსებია. ზოგიერთი გულწრფელათ ეწეოდა ამგვარ პოლიტიკას და ზოგიერთი კი შესახედავათ ასეთ პირბადეს იკეთებდა და ქვეშ კი თავის საკუთარ საქმეებს აწყობდა ასე რომ „მოღვაწეთა“ ჯგუფში ბრალიანი და უბრალო ერთათ იყო მოქცეული ამ საერთო პოლიტიკის ნიადაგზე ჩდებოდა ხოლმე სხვა და სხვა პროექტები. ასეთი იყო მაგ. პროექტი—საქართველოში შიდა რუსეთიდან ხალხის ჩამოსახლებისა.

ეს საშუალება მთავრობას მეტათ საიმედოთ მიაჩდა და ამიტომ ღონეს არა ზოგავდა ამით ფართეთ ესარგებლნა.

როგორც სხვა მოქმედებდა ძველი მთავრობისა, ისე, ჩამოსახლების საქმის მოწყობა ყოვლად შეუწყნარებელი სახით სწარმოებდა.

გონიერება და ხალხზე მზრუნველობა მოითხოვდა, მთავრობა ამას დაკვირვებოდა, და ისე მოეწყო, რომ ამით სახელმწიფოს სარგებლობა მოსვლოდა.

ჩვენ კი რას ვხედავთ? ვხედავთ სრულ გაუგებრობას. ხალხის შევიწროებას და სახელმწიფოს ზიანს. აი რატომ მოხდა ეს.

კავკასიის ჰავა ძლიერ განსხვავდება რუსეთისაგან, კავკასიის მდებარეობა და რუსეთის სრულებით ერთმანეთს არ წააგავს ყოველი ადამიანის ცხოვრება, ასე თუ ისე, მჭიდროთ შეკავშირებულია ბუნებასთან. ბუნების ზედგავლენა მცხოვრებთა სახეზედაც, ხასიათზედაც, ხელობაზედაც და ჯანმრთელობაზედაც ცხადათ არის აღბეჭდილი თუ ამას მივიღებთ მხედველობაში და, რა თქმა უნდა მივიღოთ, რადგან მეცნიერება ამას ცხადაც გვიმტკიცებს, უცებ გადასახლება ერთი ადგილიდან მეორეზე დამკვიდრებული მცხოვრებლებისა არ შეიძლება. ორივე ადგილი, სადაც ცხოვრობდა ესა თუ ის ხალხი და სადაც უნდა გადაესახლოს იგი, კარგათ უნდა შეამოწმოს გეოლოგმა, ექიმმა, აგრონომმა და აი შემდეგ შეიძლება დაახლოებით ითქვას თუ რა შედეგი მოყვება გადასახლებას გარდა ამისა, ძლიერ საჭიროა სურვილი და თანხმობა იმ ადამიანისა, რომელსაც საცხოვრებელ ადგილს უცვლიან.

უმეტეს შემთხვევებში შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ამ ჩამოსახლებით მთავრობამ არა მარტო საქართველო შეავიწროვა და ქართველები დააზარალა, არამედ თვით უდანაშაულო რუსებიც კი დასაჯა.

ბორჯომის ხეობაში რუსები ძლიერ შევიწროვდენ და მათ არა თუ სხვა ვერ გაარუსეს, თვითონაც გაქართველდენ. წალვერში მცხოვრები რუსები რუსებათ არ ჩაითვლებიან თუ ეროვნებას მარტო გვარის დაბოლოვებაში არ ვგულისხმობთ გვარათ რუბაჩოვი ჩამოსახლებულის შვილის შვილი არც ენით, არც გარეგნობით რუსი აღარ არის.

აფხაზეთში ჩამოსახლებული რუსები დიდ განსაცდელში ჩაცვივნულან. ზოგი ციებ-ცხელებას უმსხვერპლია და ვინც ამ ამ სენს გადარჩენია, ის ზნეჩვეულებით გადაგვარებულა და მეზობლებთან ატეხილ უთანხმოებაში სულსა ლაფავს.

რა აზრი აქვს ასეთ ჩამოსახლებას? ასეთ ყალბ ნაბიჯის არავისთვის სარგებლობა არ მოაქვს და ზარალი კი ბევრია. ამ ჩამოსახლებამ შეავიწროვა ჩვენი ტერიტორია და ამის გამო გამწვავდა აგრარული საკითხი—ეს კი მეტათ მავნებელი და განმადგურებელი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში; აი ეს უბედურება რუსეთის ძველმა მთავრობამ თავისი გაუგებრობით მოგვაყენა საერთოთ ქართველებს; ამავე დროს თვით რუსეთის ხალხს, სრულიად უდანაშაულოს და ბუნებით კეთილს, სასჯელი მისცა და სახელმწიფოს დათვური სამსახური გაუწია.

დღეს გარემოება გამოიცვალა მოელო ბოლო ამ უწესო და უნაყოფო მოქმედებას დღეს ეს მოვლენა უნდა გავარკვიოთ, დავგმოთ, დავასაბუთოთ და გადაჭრით მოვსთოვოთ ახალ მთავრობას, რომ ძველი შეცდომა არ განმეორდეს. ეს უნდა გასწორდეს, ამას მოითხოვს სამართლიანობა, გონიერება და სახელმწიფოზე ზრუნვა. რაც პოლიტიკამ დაბნელა ის კულტურამ უნდა გაანათოს.

აი ეს არის საჭირო და აქ იქნება ნიშანი საერთო წინსვლისა და წარმატებისა.

ტრიფონ ჯაფარიძე.

## გაზ. „ხმა ქართველი ქალისა“

ამ გაზეთის გამოსვლა ისტორიულ მნიშვნელობის ამბად უნდა ჩაითვალოს ქართულ ცხოვრებაში.

„სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, ნათქვამია. და ცხადია, ქალის საქმეს ვერ გაიგებს და მოუვლის მამაკაცი ისე, როგორც თვით დედაკაცი.

ჩვენ რომ ქალთა და კაცთა თანასწორობას აღვიარებთ, ამ აღსარებას განყენებული ხასიათი აქვს და არა ხორც-შესხმული. და მხოლოდ ქალთა გაზეთს შეუძლია გაგვახსენოს ყოველ წუთს ჩვენი ვალდებულობა მათდამი. ერთი სიტყვით, ქალთა და კაცთა სამოქალაქო და პოლიტიკური თანასწორობის განხორციელება უმთავრესად თვით ქალების შენაწევრებულ მოქმედებაზე ჰკიდია.

არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ქალთა საკითხის მეორე მხარესა. გარყვნილება დღითი-დღე იზრდება და ჰლამის გადაგვარების უფსკრულში შთანთქას კაცობრიობა. გარყვნილების მიზეზი კი უმთავრესად—მამაკაცია, რომელსაც ცხოვრების მიზნად დაუსახავს ლირწება და ავხორცობა და საცინლად იგდებს უბიწოებასა და ზნეობასა.

გამრავლდა სხვადასხვა ვენერიული სენი: სიფილისი, სუსუნატი ბილი შანკირი, სიშვილისნოს სხვადასხვა ავადმყოფობა და მათი საშინელი შედეგნი.

უეჭველია, რომ ამ საშინელებათ წინააღმდეგ იმათ უკეთ შეუძლიათ იბრძოლონ, რომელთა დანაშაულიც ნაკლებია, ე. ი. ქალებს.

სხვათა შორის დიდი სიამოვნებით ვკითხილობ კრისტაბელ პანკხერსტის წერილს, რომელიც წარმოადგენს საშინელ მხილებას. ჩემი მხრით მხოლოდ ერთს დავუმატებ. გარყვნილება მარტო მით კი არ არის საშიშარი, რომ შობს სხვადასხვა ვენერიულ სენს, არამედ მითაც, რომ სწამლავს სულს, ასნეულებს თავის ტვინის უმაღლეს ცენტრებსა და ამდაბლებს მაშასადამე, გონებასა და ზნეობას.

მოგიწოდებთ, ქართველო ქალებო! ამ საყოველთაო გარდაქმნისა და განახლების ჟამს გარდაქმენით და განაახლეთ ფიზიკურად და სულიერად ქართველი ერი. ეს— მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

ვასილ წერეთელი.

# რევოლიუციის ამბები.

(პ. დ. ს.)

**სამხედრო მინისტრის ბრძანება სამხედრო საუწყებოსადმი.**

გუშინ სამხედრო საუწყებოს მიმართ გამოქვეყნებულ ბრძანებაში შეცდომა შეგვეპარა, ამიტომ ვიმეორებთ მას.

**პეტროგრადი.** 17 აპრილს. ბრძანება სამხედრო საუწყებოსადმი 1917 წლის 17 აპრილს.

რესპუბლიკურ სახელმწიფოთა ფლოტში შემოღებულ ტანისამოსის ფორმის შესაფერად მე ვცვლი ფლოტისა და საზღვაო საუწყებოში მოსამსახურეთა ტანისამოსის ფორმას. ვაუქმებ მხრის „პაგონებ“-ს. მაგრამ ეს ცვლილება ტანისამოსისა და მხრის „პაგონები„-ს გაუქმება არ ეხება ხმელეთის ჯარსა და და სამხედრო ხმელეთის საუწყებოს. ამ უკანასკნელთათვის „პაგონები“ აუცილებელია, რადგანაც პაგონებით იქნებოდა ჯარის ცალკე ნაწილები და დიდი ჯარის დაწესებულებანიო პაგონები საჭიროა ბრძოლის დროსაც, ამიტომაცაა რომ რესპუბლიკურ სახელმწიფოთა ხმეთის ჯარში დაცულია მათი ტარება. ხოლო ჯარში არა თუ თვითნებობით აუქმებს. გაფრხილებთ, ნებას ვერავის მივცემ ჯარში ასეთი თვითნებობისა და მოძალეობისა. დამნაშავეთ სასტიკ პასუხისგებაში მივცემ.

ამით ვუცხადებთ ხმელეთის ჯარის ოფიცერთა და ჯარისკაცთა დაიცვან არსებული ფორმა ტანისამოსისა.

სამხედრო მინისტრი გუჩკოვი.

**მიწადმოქმედების მინისტრის ბრძანება.**

**პეტროგრადი.** 17 აპრილი. მიწადმოქმედების მინისტრის ბრძანება: 1) დროებითი მთავრობის 28 მარტის დადგენილებით ყველა საკითხების გადაწყვეტა სათეს მიწებისა, სასოფლო სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო ლითონებისა და იარაღებისა, მიწის განყოფილებისა, ნდობისა და შენობების შესახებ, მიწადმოქმედების მინისტრის ერთ ერთ ამხანაგის განკარგულებაშია. ამიტომ მიწადმოქმედების მინისტრის ამხანაგ ხრუშჩევს ვავალებ თავს იდვას ამ საქმეების ხელმძღვანელობა.

2) 103 საარტილერიო ბრიგადის პოდპორუჩიკს, საერობო სახელმწიფოებრივ სასურსათო კომიტეტის წევრს მანკოვსკის ვაკისრებ სათეს მიწების მოსაწესრიგებელ განყოფილების გამგებლობას.

3) სასურსათო სამართველოს საერთო საორგანიზაციო განყოფილების გამგის თანაშემწეს ვ. ი. იგნატიევს ვნიშნავ სათეს მიწების ორგანიზაციის განყოფილების გამგის ამხანაგათ დეპარტამენტის ვიცე დირექტორის უფლებებით.

4) სახელმწიფოს მიწების დეპარტამენტის ვიცე დირექტორს პეტროვს ვნიშნავ სათეს ადგილების ორგანიზაციის ნაწილის გამგის ამხანაგათ დეპარტამენტის ვიცე დირექტორის უფლებებით.

**პეტროგრადი.** 17 აპრილი. საზღვაო მინისტრმა ამისთა მიხედვით, [illegible] რესპუბლიკურ [illegible] ქვეყნებში, დაადგინა შემდეგი ცვლილებანი ფლოტის მოსამსახურეთა ტანისამოსში: აღარ ექნებათ [illegible] „პაგონები“, აღარ უნდა ატარონ შარფი, აღარ უნდა იქნეს ვენზელები იარაღზე. არ უნდა ატარონ კაკარდები ქუდზე, პაგონების ნაცვლად უნდა ჰქონდესთ სამაჯურებზე სირმები. ოქროს სირმები უნდა ქონდესთ ფლოტის აფიცრებს, ინჟინრებს, მექანიკებს, ვისაც სრული საოფიცრო გამოცდის მოწმობა აქვს, საადმირალოს პრაპორშჩიკებსა და ჰიდროგრაფებს. ვერცხლის სირმებს ატარებენ: სასამართლო უწყების მოხელენი, რომელთაც სრული საოფიცრო გამოცდის მოწმობები არ აქვსთ, გემების ინჟენრები და ექიმები და უნტერაფიცრის ზოდების მატროსები.

**პეტროგრადი.** 17 აპრილი. დროებითმა მთავრობამ დაამტკიცა სამხედრო მინისტრის მიერ შემუშავებული დროებითი წესები საველე სასამართლოების ახალი შედგენილობის შესახებ მშვიდობიანობის დროსათვის მოსამართლეებს აირჩევენ სალდათთა და აფიცერთ შორის.

დროებითმა მთავრობამ აღკრძალა ყიდვა და გაყიდვა მომატებულ ფასად სარკინისგზო ბილეთებისა. დამნაშავენი დაისჯებიან 2 ან 4 თვით ციხეში დამწყვდევით ან არესტით 3 კვირიდან 3 თვემდის. ამას გარდა გადახდებათ ჯარიმად 1000 მანეთამდის.

**პეტროგრადი.** 17 აპრილი. სტარო-ობრიადცების კრებამ გამოიტანა დადგენილება სახელმწიფოსაგან ეკლესიის განცალკევების შესახებ.

**წარსადგენი რეზოლიუცია.**

**კოპენჰაგენი.** 17 აპრილი. ვენიდან იტყობინებიან: გაზეთ „არბაიტერ ცაიტუნგში“ გამოქვეყნებულია რეზოლიუცია, რომლის მიღება აზრადა აქვს 1 მაისის მუშათა კრებაზე. რეზოლიუცია წინააღმდეგია დაპყრობითი პოლიტიკისა ან რომელიმე სახელმწიფოს განადგურებისა. მისი შემდგენელნი სალამს უძღვნიან რუსეთის პროლეტარიატს. დასასრულ რეზოლიუციაში გამოთქმულია დაპირება, ყველაფერს ვიღონებთ ზავის საჩქაროდ დასამყარებლადო.

**გერმანეთის მარჯვენა მხარე.**

„ლოკალანცაიგერის“ სიტყვით გერმანულ კონსერვატიულ პარტიის პრეზიდიუმმა ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: თუ ზავი მოხდა უანექსიოთა და უკონტრიბუციოთ, ეს მთელს გერმანეთს

# ქართული ტიპიკონი.

**ქართველ კათოლიკებში უძველესადროიდან დღევანდლამდე.*)**

**ურთიერთობა რომის კათოლიკე ეკლესიას და საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას შორის.** წინაწერილში ისტორიულად დავამტკიცეთ, რომ საბერძნეთთან ერთათ საქართველოც არ გაჰყრია რომის ტახტს, რომ მთელი ქართველობა კათოლიკობას აღიარებდა 1234 წლამდე, რომ მთელი ქართველობა წმინდა ქართულ ტიპიკონს მისდევდა 1234 წ- დე ამის შემდგომ კი მომხდარა ჩამოშორება საქართველოს ეკლესიისა რომის ეკლესიისაგან. სწორეთ მაშინ ჩნდება ჩვენში ლათინური ტიპიკონი, რომელმაც დღევანდლამდე მოაღწია; ხოლო მე 16 საუკუნიდან სომხის უნიატი მღვდლები ფეხს იკიდებენ მესხეთში, სადაც ლათინის ღვდლებს არ აბოგინებდენ ოსმალები. აი, ამდაგვარათ აიხსნება ის, პირველი შეხედვით საკვირველი, მოვლენა, რომ რადაც 20.000 ქართველი კათოლიკე ორს სხვა და სხვა ტიპიკონს მისდევს.

ამ ისტორიულ ნარკვევიდან ნათლათ გამოსჭვივის ის აზრი, რომ ქართული ტიპიკონი არ არის საკუთრება ქართველ მართ მადიდებლებსა, იგი საზოგადო საუნჯეა; თუ უმეტესათ არა, მაინც ეგოდენათვე ეკუთვნის იგი ქართველ კათოლიკებსაც, რადგან მისი თარგმნა, შესწორება და განმტკიცება იმდროს მომხდარა, როდესაც ყველა ქართველი ჯერ კიდევ კათოლიკები იყვნენ... ერთი სიტყვით, ქართული ტიპიკონი უცხო ხილი როდია ქართველ კათოლიკესთვის, იგი მამაპაპისაგან გადმოცემული საუნჯეა, იგი მის საკუთრებას შეადგენს, და როდესაც მოისურვებს, კიდეც შეუძლია ისარგებლოს, ვერავინ წაართმევს...

ეს მით უფრო ნათელი გახდება, როდესაც უტყუარ საბუთებით ვნახავთ' რომ ეს ქართული ტიპიკონი განუწყვეტლივ ყოფილა ქართველ კათოლიკებში: ყოფილა ქართველთა კათოლიკური სამრევლოები, ყოფილაი ქართულ კათოლიკური მონასტრები, ყოფილა ქართულ კათოლიკური ეპარქია! ეხლაც არსებობს ქართულიკათოლიკური სამრევლო კონსტანტინეპოლში!..

სანამ ამ საინტერესო საკითხის გარკვევას შეუდგებოდე, აუცილებლათ მიმაჩნია მკითხველს გავაცნო, თუ რა ურთიერთობა დამყარდა რომისა და საქართველოს ეკლესიათა შორის 1234 წლის შემდგომ; უამისოთ გაუგებარი დარჩება ჩვენთვის ქართული ტიპიკონის საკითხი. ისტორიაში ცნობილია, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ეკლესიათა დაშორებამ დიდი განხეთქილებისა და შფოთის სახე მიიღო: 1054 წელს პაპმა შეაჩვენა კონსტანტინეპოლის პატრიარქი მიხელ „მესანთლე“, ამ უკანასკნელმაც თავის მხრივ პაპი შეაჩვენა, ამოშალა მისი სახელი საეკლესიო წიგნებიდან და ეკლესიებიც ჩამოართვა ლათინებსა. 1) საკითხია, ნუ თუ რომისა და საქართველოს ეკლესიათა დაშორებამაც ამნაირი მწვავე ხასიათი მიიღო. მთ. ელი ისტორია ღაღადებს, რომ არა იმ დროს, როდესაც ბერძნები ლათინების ეკლესიებს ხურავდენ, ქართველი მთაწმინდლები მეგობრულ განწყობილებით ცხოვრობდენ ლათინის ბერებთან[2] სხვათა შორის, ამ კავშირსაც უნდა მივაწეროთ ის ისტორიული მოვლენა, რომ საქართველო შეთანხმებული დარჩა რომ თან 1234 წლამდე. 1240 წლის განშორება არ უნდა მივიჩნიოთ განხეთქილებათ. ნუ დაგვავიწყდება, რომ 1230-1250 წლებში განუწყვეტელი ბრძოლა სწარმოებდა კონსტანტინეპოლის ლათინებსა 3) და ნიცა-ტრაპიზონის იმპერატორთა შორის ადვილი წარმოსადგენია, რომ ამ პოლიტიკურ ბრძოლას ცოტაოდენ შეეფიქრიანებინოს ქართველებიც,-ვაი თუ ჩვენს ქვეყანასაც კონსტანტინეპოლის ბედი ეწიოს და ვენეციელ გენუელებმა ჩვენი ქალაქებიც დაიპყრანო, ეს ერთნაირ უნდობლობის

ატმოსფერა შექმნიდა დასავლეთისადმი,-ბერძნის უთვალავ აგენტებს მეტიც არ დასჭირდებოდათ, რომ უნდობლობა იგი პოლიტიკურ სფეროდან ეკლესიურშიც გადაეტანათ. მაგრამ ამ შემთხვევაში ქართველებმა იმ დროისთვის განსაცვიფრებელი ცოდნის სიმწიფე გამოიჩინეს, ისე ფართო შეხედულობა გამოაშკარავეს სარწმუნოებაზე, რომ დღევანდელ განათლებულ ერებსაც სასიქადულოთ ჩაეთვლებათ. ქართველი ერი მშვენიერათ არჩევდა რწმენას და ტიპიკონს,-ოღონდ რწმენა, ოღონდ დოგმები მართალი იყოს ტიპიკონის, ჩვეულების სხვადასხვაფერობამ არ უნდა დაგვყოსო. წარმოიდგინეთ, იმ დროს, როდესაც ბერძნები გაცხარებულ კამათში იყვნენ გართულნი და ლათინებს აბრალებდენ: ღვდლების, წვერ-ულვაშის გაპარსვას, შაბათობით მარხვის შენახავს, დიდ მარხვაში „ალილუიას“ შეწყვეტას,-ქართველები თვალს ხუჭავდენ არა მარტო ამდაგვარ წვრილმან რამეზე, არამედ იმისთანა პირველ რიგის საკითხზედაც კი, როგორიცაა შემდეგი: თუ რა ნაირი პურით იწირებოდეს წირვა, გაფუვებულით თუ გაუფუებელით,-ამისთანა პირველ ხარისხოვან საკითხსაც კი გადმჭრელ მნიშვნელობას არ აძლევდენ ლათინები გაუფუვებული პურით, ხმიადით სწირავდენ, აღმოსავლეთელები კი გაფუვებულით. ეს სხვადასხვაფერობა ერთ წამსაც არ აფიქრებს ჩვენს სასიქადულ ოგიორგი მთაწმინდელს, როგორც პეტრემ და იესო ქრისტემ შესწირეს, ლათინებიც ეგრე სწირავდენო. მომყავს ტექსტი: „ვითარცა იგი თავმა მოციქულთამან, პეტრემ შესწირა უსისხლო იგი მსხვერპლი, და უმეტესთ ვითარცა თვით თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არა რა არს მას შინა განყოფილება, ოდესა სარწმუნოება მართალი იყოს 4). მაშ მთა-

4) ათონის 1074 ხელნაწ. გ. 332.

წმინდელის ლოზუნგი ასეთია: რწმენაში მჭიდრო ერთფეროობა, ტიპიკონში კი მრავალფეროობა, ადგილისა და ჩვეულების მიხედვით.

მაშინდელ ეკლესიურ მესვეურებს ასე მკაფიოდ და ფართო შეხედულობით, რომ გაეთვალისწინებინათ ეს საკითხი, შეიძლება ეგოდენი უსიამოვნება არ მომხდარიყო.

ქართველებმა კი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში, შევინარჩუნეთ მთაწმინდელის ფართო შეხედულება; ამიტომაც არის, რომ საქართველოს და რომის ეკლესიის დაშორებას არას დროს განხეთქილების ხასიათი არ მიუღია. ხშირათ დაშორებასაც კი ვერ შეამჩნევთ; ყოველ შემთხვევაში იგი ძალიან მცირეა. ქართველმა არქიმანდრიტმა ნიკიფორემ პროპაგანდას5) წარუდგინა საქართველოს ეკლესიის მრწამსი, რომელიც დაწვრილებით გამოიძიებს 20 ივლისს 1628 წელს და ყველამ ერთხმათ აღიარა: ქართველები ძლიერ მცირედ განსხვავდებიან კათოლიკე სარწმუნოებისგანო6). სადაც კარდინალები მცირე განსხვავებას ხედავენ, იქ ნიკიფორე, თავისი ქართველური სიმარტივით, ვერაფერს ხედავს; იმისათვის რომ მას და საქართველოს ეკლესიას ერთი და იგივე სარწმუნოება აქვსთ; ეს აზრი გაბედულათ წარმოსთქვა მან როსტომ ხანისა და ქართველ კათალიკოს ეპისკოპოზთა წინაშე; იქვე იყვნენ სომხები და ბერძნები, რომელთაც სამართალში მიეცათ ქართველი ნასყიდათ ლიპამონი, კათოლიკობის მიღების გულისთვის ზემოთ ხსენებული ნიკიფორე ბრალდებულის დამცველათ გამოდის; ლიპამონს სარწმუნოების გამოცვლას აბრალებენ; ნიკიფორე ბრალდებას მთლათ აქარწყლებს. ორი საბუთით, ერთი მეორეზედ უფრო ძლიერით აგერ მისი პირველი საბუთი: ლიპამონს სარწმუნოება არ გამოუცვლია, ქართველების და კათოლიკების სარწმუნოება ერთი და იგივეაო; მათ შორის სხვა არაფერი განსხვავებაა: თუ არის რომ ფრანგები უფრო ეთრგულად და მორწმუნებით იცავენ ქრისტეს სარწმუნოებას. მაშ, პირველი საბუთი უარყოფს ბრალდების საფუძველს, თითქოს ლიპამონს სარწმუნოება გამოეცვალოს;

*) ეს გამოკვლევა მთლათ დამყარებულია თამარაშვილის წიგნზე (ისტორ. კათოლიკობისა) ამიტომაც საზოგადოთ სათანურს არ მოვიყვათნ და ტექსტშივე აღვნიშნავთ გვარდსა.

1) დარრას, ეკლესიის ისტორია ტ. 3 გ. 75.

2) ათონის ხელნაწ .1074 წლ. გ. 30-31.

3) ჯვაროსნებმა კონსტანტინეპოლი დაიპყრეს 1204 წელს და ნახევარი საუკუნე შეიანრჩუნეს აღმოსავლეთის დედაქალაქი.

5) პროპაგანდა ის სამართველო დაწესებულებაა, რომელსაც აბარია მისიონერების მოვლა პატრონობა

6) თამარ ისტ. კათოლ. გ. 96:

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იმ თანამოაზრე ამხანაგებს

(განურჩევლათ სქესისა), რომელთაც წელს დაასრულეს საშუალო სასწავლებელი ვთხოვთ შაბათს შუადღის 12 საათამდი „ჩვენი ქვეყნი“ს რედაქციაში შემოიარონ.

---

დაღუპვის გზაზე დააქანებს. პარტია იცავს გამარჯვებულ გერმანეთს; მისი მომავალი უნდა შეეფერებოდეს გერმანეთის ჯარის სიმამაცეს. ომმა უნდა უზრუნველჰყოს ძლიერი გერმანეთის განვითარება და ზღოს გერმანეთის მიერ გაწეული სამხედრო ხარჯი.

**თავისუფალი კათედრები.**

პეტროგრადი. 17 აპრილი. თავისუფალ კათედრების დაკავების შესახებ სახალხო განათლების მინისტრმა ასეთი განმარტება გამოსცა. ყოველი განკარგულება აუცილებლად უნდა მოდიოდეს ფაკულტეტებიდან, რომელთაც უფლება აქვთ თავისუფალ ადგილებზე მისაღებ პირთათვის დანიშნონ მიღების ესა თუ ის წესი, კონკურსი თუ რეკომენდაცია. მხოლოდ თავისუფალ ადგილებზე კანდიდატებათ მიიღებენ იმ პირთ, რომელთაც მაგისტრის სამეცნიერო ხარისხი ექნებათ.

**სასურსათო ყრილობა.**

მიწადმოქმედების მინისტრმა შინგარევმა გადასწყვიტა 7 ივნისისათვის მოიწვიოს პეტროგრადში მთელი რუსეთის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტებისა და მათი წარმომადგენლების ყრილობა. პროგრამაში სხვათა შორის არის ნახსენები პურის მონოპოლიის განხორციელების სახითხიც.

**საერთაშორისო დამოკიდებულების განყოფილება.**

ჯარისკაცთა და მუშათა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მოაწყო საერთაშორისო დამოკიდებულობის განყოფილება. წარმომადგენლად არჩეულია დეპუტატი სკობელევი. განყოფილების მიზანია საზღვარ გარეთ რუსეთის საქმეებში რეფორმების მოხდენა, აგრეთვე საზღვარ გარეთიდან ცნობების მიწოდება აღმასრულებელ კომიტეტისათვის.

**ახალგაზრდა მანიფესტატები.**

სახელმწიფო სათათბიროში მოვიდენ საქალაქო სასწავლებლების მოწაფეები. მათ დროშაზე ეწერა: უფასო სახალხო განათლება. ბავშებს კანტერყრევი მიესალმა და მოუწოდა იმუშავეთ და ისწავლეთო.

**უცხოეთი.**

ვაშინგტონი. 16 აპრილს. ხუთას ათას კაცს ჯარში პირველად გაიწვევენ. პირველი ეროვნული აღწერა მოხდება ოცდაათი დღის განმავლობაში.

## ახალი ამბავი

✦ 19 აპრილის სხდომაზე აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი დადგენილებანი გამოიტანა:

1) საგანგებო კომისიის წევრმა ა. ნ. ფაღავამ წარმოადგინა პროექტი ინსტრუქციისა სარაიონო კომიტეტის არჩევნების მოსახდენად ქალ. ქუთაისში. პროექტი ზოგან შესწორებულ იქმნა და კომიტეტმა შეიწყნარა იგი. ამასთანავე დაადგინა: წყალ გაღმა უბნის ორ უბნად გაყოფა პრინციპიალურად მიღებული იქმნას.

2) სარაიონო კომიტეტის არჩევნების დროს წესიერების დასაცავად მოიწვიონ მილიციონერები.

3) ნაწილის სამთო და ქალაქის ცენტრალურ კომისარებისა და მათი თანაშემწეების არჩევნები მიენდო „ხსენებულ უბნების“ შეერთებულ სარაიონო კომიტეტის სხდომას.

4) სარაიონო კომიტეტის არჩევნები დანიშნულ იქმნას 30 აპრილს დილის 10 საათზე.

5) ამომრჩეველ კრების თავმჯდომარეებათ დაინიშნებიან ქუთ. აღმასრულებელ კომიტეტის წევრნი სახელდობრ:

1—ელ (ჰომის) რაიონში—ი. ფირცხალაიშვილი, 2—(არქიერის გორაზე) ტ. მ. ჯაფარიძე, 3—(ბალის ქუჩ.) ა. ი. კრინიცკი, 4—(ჰავჰავაძის ქუჩ.) ლ. ე. გრიგოლია, 5—(მესხეთის ქუჩ.) ზ. კ. მაჰავარიანი, 6—(ალექსანდროვის ქუჩ.) ი. პ. გობეჩია, 7—(მწვანეყვავილაში) ნ. ს. სოკოლოვი, 8—(ებრაელებს ქუჩ.) ა. კ. კოსტავა, —9)ქალ. ცენტრ. ნაწ.) ნ. დ. ლორთქიფანიძე, 10—(საფიჩხიაზე,) ი. ს. ფანცხავა, 11—(კახიანოურში) ა. ს. გელაზაროვი, 6) თავმჯდომარეების კანდიდატებათ აირჩიენ ს. დ. კილაძე, ს. გ. ყიფიანი და დ. ვ. მდივანი.

7) კრების თავმჯდომარეებს დაევალებათ: მონახონ დარბაზი კრების მოსახდენად, დაიცონ. კრების დროს წესიერება და სხვა.

8) ეთხოვოს ამომრჩეველ კრების თავმჯდომარეებს შეიკრიბონ 20 აპრილს საღ. 7 საათზე ქალაქის გამგეობის დარბაზში საერთო არჩევნების მოსახდენად და გეგმის შესამუშავებლად.

2) ქალაქის სახალხო მილიციის შეკითხვაზე, თუ როგორ მოექცენ აღმ. კომიტეტის მიერ დაპატიმრებულ ა. ა. ბიბიკოვის ბინას, დაადგინეს: ყველა წერილი გადაეცეს საგამომძიებლო კომისიას. იარაღი და სასროლი პატრონები კი შეინახონ მილიციის სამმართველოში.

3) განიხილეს განცხადება ქუთ. გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლისა, რომელიც ითხოვდა, რათა აღმ. კომიტეტის წევრებათ დაშვებული იქმნან დ. ო. ნიჟარაძე და ს. ვ. ჯორჯიკია, როგორც დელეგატები არა თავად-აზნაურთა არამედ დეპუტატთა საკრებულოს მოსამსახურეების, რადგან ეს დაწესებულება ითვლება სახელმწიფო დაწესებულებად.

აღმასრულებელმა კომიტეტმა შეუძლებლად სცნო ამ თხოვნის დაკმაყოფილება, ვინაიდან არც ერთ სახელმწიფო დაწესებულებას აქვა ჰყავს თავისი დელეგატი აღმ. კომიტეტში.

4) თხოვნა სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონების საქმის მაწარმოებლის ყოფილ უფროსის თანაშემწისა უ. მ. ბახტაძისა, რომელიც ითხოვდა, განიხილონ მისი საქმეები, რისთვისაც დაითხოვეს იგი თანამდებობიდან, დადგენილ იქნა, გადაეცეს სამიწადმოქმედო სამმართველოს კომისარს ტ. კ. მაჰავარიანს.

✦ შაბათს 22 აპრილს ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის დარბაზში „Голосъ солдата“-ს ფონდის გასაძლიერებლათ გაიმართება დრამატიულ მუსიკალური საღამო.

საღამო დამთავრდება ცეკვით.

## დეპეშა.

(შემთხვევითი).

ქუთაისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტთან არსებულმა საავრონომიო კომისიამ გამგზავნა სამტრედიის რაიონში როგორც კომიტეტის წევრი მასიური დათესვის მოსაწყობათ. დღეს დამატუსაღეს ჯარისკაცებმა უცნობ პირთა ჩვენებით ფედერალისტთა პარტიის წევრობისათვის.

წამიყვანეს კომენდანტთან, მაგრამ მალე გამანთავისუფლეს აღმასრულებელ კომიტეტის წევრებთან ნაცნობობისა გამო. დაწვრილებით წერილში შეგატყობინებთ·

**იონა მაჰავარიანი.**

## არის თუ არა ეხლა დრო პერძოდ შურის ძიებისა·

პერძო შურის ძიება არასოდეს არ ყოფილა კეთილ შობილური მოქმედება. შურის ძიებამ დაღუპა და მოკლა პოლიტიკურად საქართველო. შურის ძიება ერთი უსაშინელესი უკულტურო საშვალება ურთიერთ შორის ანგარიშის გასწორებისა. შურის ძიებას ადამიანი ადამიანისადმი მაშინ იწყებს, როდესაც იმისათვის ხელ საყრელ პირობებს ხედავს. ზოგიერთი ადამიანის ანგარიშით დღევანდელი პირობები და დრო ვითომც ერთობ ხელსაყრელი იყოს ურთიერთშორის შურის ძიებისათვის. ასეთი აზრი ერთობ შემცდარია. რევოლიუციისაგან მოპოებული თავისუფლება განმტკიცებასა და გამაგრებას თხოულობს, ამისათვის კი ძალთა შეერთებაა საჭირო. ძალთა დაქსაქსვა რევოლიუციის სიკვდილის ნიშანია.

დღევანდელი რუსეთის რევოლიუცია განსაკუთრებით წვრილი ერების დღესასწაულია. ამისათვის უპირველეს ყოვლისა ამ ერებმა უნდა დაიცვან სიმშვიდე და უარყონ ურთიერთშორის შურის ძიება. ქართველებს ამ მხრით ამ ჟამად ბევრი რამ გვაკლია. ჩვენ ერთმანეთს, შურის ძიების ნიადაგზე, სამარხს უთხრით. განსაკუთრებით ამ სენმა სოფლად იჩინა თავი. ჩვენში, სასულიერო უწყებაში, დღეს ერთი დიადი ეროვნული საქმეა დაწყებული ეს საქმე ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა გახლავსთ. ამ საქმის დაგვირგვინებას ყველა შეგნებული ქართველი უნდა ეტრფოდეს ნახევრობით იგი უკვე მოგვარებულია. ახალმა მთავრობამ ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალობა იცნო, მაგრამ, ჩვენდა დიდათ სამწუხაროდ, იცნო არა ტერიტორიული არამედ მხოლოდ ეროვნული. ჩვენთვის კი მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალობა აღიარებული იქნეს აუცილებლად ტერიტორიული. ამ მოთხოვნის გასატანად და დასაგვირგვინებლად ურთიერთშორის თანხმობაა საჭირო და არა ერთმანეთის განქიქება, განკიცხვა და შურის ძიება. განსაკუთრებით ასეთი ძმური რჩევით გურია სამეგრელოს ეპარქიის სამღვდელოებას მინდა მივმართო საიდანაც არა სასიამოვნო ხმები მოდის. ბნელი ძალები ჯერ კიდევ ბლომად მოიპოვებიან ჩვენში. ისინი ყოველ ღონეს ილონებენ, რომ ჩვენი საერთო საქმე ჩაშილონ. იმასაც შეეცთებიან, რომ იმ ხეს ძირი გამოუთხარონ რომელზედაც ჩვენ ვზივართ, მაგრამ ეს ჩვენ ყოველივე წინდაწინ უნდა გავითვალისწინოთ, დროებით მაინც პირადი ანგარიშები დავივიწყოთ, რომ საერთო საშვილიშვილო საქმეს არ ვავნოთ და საუკუნოთ არ დავმარხოთ. მაშ ასე ძმებო ხელი ხელს მივცეთ, მტრობა და შურზე ხელი ავიღოთ და საერთო მიზნისაკენ, რომელსაც საფუძვლად ჩვენი ხალხის კეთილდღეობა უნდა ედვას წინ მედგრად გავსწიოთ.

**მ. ბუაჩიძე.**

წერილი რედაქციის მიმართ

ბ-ნო რედაქტორო!

ჩვენი უკმაყოფილება.

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ამ წერილს.

ქუთაისის საშუალო სასწავლებლების მოსწავლე ახალგაზრდობა [illegible] მიმართულებისა [illegible] კრებამ [illegible] ტანილ მსჯავრის თანახმად გულის წყრომას უცხადებს ქართულ გიმნაზიის მასწავლებელს სერგო რობაქიძეს იმ არა საკადრის პოზიციის გამო, რომელიც მას უჭირავს ქართველ არა ესდეკთა მიმართულების მოსწავლე ახალგაზრდების მიმართ. ბევრჯერ გვსმენია, თუ ბ-ნი რობაქიძე ფირცხალაიშვილთან ერთად როგორ უდიერათ იხსენიებს სხვა მიმართულების მოსწავლეთ. ჩვენი იდეური უფროსების მიმართ მისი დამოკიდებულება ხომ „ნაძირალების“ და „შავრაზმელების“ ძახილით არ განისაზღვრება, ხანდახან მისი ბრძანებით ხელითაც კი ეხებიან მათ.

ვცემთ რა ბ-ნ რობაქიძეს პატივს, როგორც პედაგოგს, მისი მხრით არა საკადრისათ მიგვაჩნია ასეთი საქციელი. მასწავლებელი ჩვენ სხვა მიმართულების პირთა სიძულვილსა და უპატივცემლობას არ უნდა გვასწავლიდეს; ხოლო ბ-ნ რობაქიძის გამოსვლა ჩვენს წინააღმდეგ მეტად ცუდი მაგალითია ახალგაზრდობისათვის. მით უფრო სამწუხაროა ჩვენდამი ბ-ნ რობაქიძის დამოკიდებულება, რომ აქამდი მას ახალგაზრდობისადმი წმინდა ამხანაგური გრძნობები ამოძრავებდა, რისთვისაც ყველა მადლიერი ყავდა; დღეს კი დრონი იცვალენ და დროის თანაბრად გრძნობებიც. იმედი გვაქვს ბ-ნი რობაქიძე ჩაუკვირდება თავის დამოკიდებულებას ჩვენდამი და საკუთარი პიროვნების პატივსაცემათ თავს დაანებებს ახალ გაზდობის ცუდათ ხსენებას.

მოსწავლეთა შეერთებული კრების დავალებით.

**საგანგებო კომისია.**

## მსოფლიო ომი.

(პ. დ. ს.)

**პარიზი.** 17 აპრილი. საღამოს ოფიციალი ცნობა: სენკანტენსა და უაზოს შუა, აგრეთვე დამის შარა გზაზე საკმაო

---

მართალია, კათოლიკობა მიიღო, მაგრამ ეს კიდევ სარწმუნოების გამოცვლას არ ნიშნავს, ვინაიდგან ქართველების და კათოლიკების სარწმუნოება ერთი და იგივეაო.

მეორე საბუთს ამნაირათ გამოსთქვამს: ლიპამონმა კათოლიკობა მიიღო, მე ეს სარწმუნოების გამოცვლათ არ მიმაჩნია. თქვენ თუნდა სარწმუნოების გამოცვლა დაარქვით ამას, მაგრამ არც ამ შემთხვევაში გაქვთ უფლება ლიპამონის დასჯის, რადგანაც საქართველოში **სრული სინიდისის თავისუფლებაა**, ვისაც რა სარწმუნოება სურს, იმას ამოირჩევს, არავინ არის დამშლელი7) ყოველ დღივ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველნი სომხდებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაჰმადის სარწმუნოებას ღებულობს; მაშ, ვისაც კი უნდა გაფრანგება (გაკათოლიკება). რაღათ უნდი დაეშალოს?“

ჩვენი საკითხისთვის პირველი არგუმენტი გვაინტერესებს უფრო: **„ქართველობ და კათოლიკობა ერთი და იგივეაო“** ამას ნიკიფორე ამბობს მართამადიდებელ კათოლიკოსის და ეპისკოპოზით წინაშე, ამათგანი არვინ ეკამათება, პირიქით, სიხარულით ეგებებიან ლიპომონის განთავისუფლებას. 8) ქართველობა, წინეთაც და შემდგომაც, ამ ნაირი ფართე შეხედულობის იყო, ამისი საბუთები მრავალი მოგვეპოება. აი რასა სწერს ცნობილი მოგზაური პეტრე დელავალლე 1625 წლის მოხსენებაში: ცხდათ არა სჩანს ქართველებიც ბერძნებსავით ჩამოშორდენ თუ არა კათოლიკე სარწმუნოებას. (თამარ. გ. 88) ოღონდაც რომ ცხადათ არ მოსჩანს; გადაშალეთ. გვერდი 85 თამარ. ისტ. და თქვენ შემდეგ ფაქტს ამოიკითხავთ: 1616 წ. ვიღაც ლათინის მისიონერი შემოივლის საქართველოში, შედის მართმადიდებლების ეკლესიაში, ღვდელი და ერი ხელებს უკოცნის კურთხევას სთხოვს ნატრობს ალსარება თქვას მასთან. 1613 წელს ახლათ შემოსულ მისიონერებთან ქართველი თავადები აღსარებას ამბობენ და მათვე ხელით ზიარობენ (ვვ წხ) დიახაც საბუთი ჰქონდა პეტრე დელავალეს დაეწერა: ცხადათ არ მოსჩანს ქართველებიც ბერძნებსავით ჩამოშორდენ თუ არა კათოლიკე სარწმუნოებასაო.

თეიმურაზ 1 თავის წარმოდგენით რომის პაპის მორჩილიც არის და ამასთანვე წევრიც ქართულ მართმადიდებელ ეკლესიისა! აი რასა სწერს (1622 წ.) სრულიად საქართველოს სახელით: „სარწმუნოება და სწავლა-მოძღვრება, რომელიც მოციქულებმა ასწავლეს, განუხრწნელათ დავიცვევითო. „(გ. 93). იმავე წერილში, პაპზე ამბობს: „თქვენ ხართ ყველაზე უდიდესი და უმეტესად ამაღლებული მწყემსი... ვითხოვ თქვენგან კურთხევას და ცოდვების შენდობას... რადგან თქვენ ხართ მთავარი მთელი ქვეყნისა... მამა **ყოველთა მორწმუნეთა... თქვენ ხართ პირველი საყდარი და გქვსთ უსაზღვრო ხელმწიფობა. გვიბრძანეთ და ყველაფერში დაგემორჩილებითო** „(გ. 64). ნიკიფორესავით, თეიმურაზიც არავითარ განსხვავებას ხედავს ქართველებისა და კათოლიკების სარწმუნოებაში. თეიმურაზზე უწინ, იმავე აზრს გამოსთქვამდა სვიმონ მეფე; წიგნს სწერ „ყოვლად წმიდადა ნეტარს ჩვენს ბატონს, წმ. მამას პაპასა... მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო... ნათესავთა მოძღვარო.. მქადაგო ყოვლისა სოფლისა, მნათობო ეკლესიათა... თუ ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანეთ აღგვიმატოს ღმერთმა იმედი.. და არცხვინოს იგინი, რომელნიც არ აღიარებენ ჭეშმარიტ სარწმუნოებასა... ჩვენ მივიღეთ ტახტი ჩვენის მამისა და მას აქეთ დღე და ღამე არ მოგვისვენია არაოდეს ომისაგან, თვით ავდრებშიაც კი. რა ბრძოლა, შეწუხება და გაჭირვება არ გამოვიარეთ ქრისტეს სიყვარულისთვის: დავიჭერით ომში, საპყრობილეში ჩაგვაგდეს სპარსელებმა... გავთავისუფლდით... და ხელახლავ დავიწყეთ... ომი... გული არ გავიტეხეთ. ჩემ თავს, გავს, გავსწირავ ერთიანათ და ეგრეთვე ჩემს ქორფა შვილსაც; დავღვრი ჩემს სისხლს ვიდრე უკანასკნელ წვეთამდე ჯვარცმულის იესო ქრისტესთვის.. ვიდრე პირში სული მიდგია, ხელს არ ავიღებ ოსმალების წინააღმდეგ ომზე... აწ ყოვლად უწმიდესო ბატონო, რადგან „ყველა ქრისტიანების თავი ხართ და ყველაფერი თქვენს ხელშია, მოეცით ძალა და შეწევნა ქრისტიანეთა ერთა და დაიხსენით... „(გ. 76-77). როგორც ხედავთ, სიმონ მეფესაც გიორგი მთაწმინდელის ფართო შეხედულობა აქვს: თავის თავს მართლმადიდებელ ეკლესიის წევრად სთვლის, რა კი ღმერთს ევედრება ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანეთათვის; მისი თვალსაზრისით განხეთქილება არ არსებობს, პაპს მოეპოება კლიტენი სასუფევლისა, იგია მოძღვარი, მამა და თავი ყოველთა ქრისტიანეთა, და აკი ამიტომაც ვალდებულია შეეწიოს აღმოსავლეთის მართლმადიდებელ ქრისტიანებს, რომელნიც მისივე შვილები არიან.

მიუდგომელი მკითხველი ადვილათ გაარჩევს, რომ სიმონს მხურვალე რწმენა ლაპარაკებს და არა ქვეყნიური პოლიტიკა.

რომ, საზოგადოთ, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამნაირი აზრით გამსჭვალული ყოფილა, ამას ნათლათ ამტკიცებს კათალიკოსის ნიკოლოზ მე 10 ის წერილი (წ. 1742.) „უნეტარესო მამაო... მოსამართლევ ყოვლისა სოფლისა, პეტრე მოციქულისა მოსაყდრევ და ერთისა წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა თავ მჯდომთ, რომელი ეკლესიაც არის დედა ქვეყნის ყოველთა ერთა... ვითხოვ თქვენო ქმე მწყემსებრივს კურთხევას... როგორადაც უწინ,ძველი დროდგანვე, ჩვენი ქვეყნა თქვენ გემორჩილებოდათ, მსგავსადვე ჩვენც კვალად თქვენის კურთხევისა და მადლის მქადაგებელნი ვართ. თუმცა კი ზოგიერთმა ჩვენის საქართველოს პატრიარქმა თქვენდამი ჯეროვანად მისაგებელი მორჩილება დაივიწყა. ხოლო გევედრებით, მათ ნუ დამადარებთ, რადგან მორჩილი და მზათ ვარ ყველა თქვენი ბძანება აღვასრულოო“..(გ. 52).

განმარტება ზედმეტია; რაც ზემორე მოყვანილი საბუთებით დავამტკიცეთ, ნიკოლოზ პატრიარქსაც ისტორიულ ჭეშმარიტებათ მიაჩნია იგი.

მაშ, დაშორებას რომსა და საქართველოს შორის, არა დროს მიუღია მწვავე ხასიათი, უფრო ხშირათ, გარეგნული და დროებითი ყოფილა იგი; მხოლოდ ზოგიერთ პატრიარქის დროს მომხდარა, არა განხეთქილება, არამედ ცოტაოდენი დაშორება; იმ ზოგიერთ პატრიარქსაც აშკარათ უარი არ უთქვამს პაპის მორჩილობაზე; ეს კია ჯეროვანი მორჩილება დავიწყებია, იმისთანა სრული მორჩილება, რომელსაც აცხადებს ნიკოლოზ პატრიარქი: „მზად ვარ ყველა თქვენი ბძანება აღვასრულოო“.

ზემოთ მოყვანილ საბუთებიდან აშკარათ მოსჩანს, რომ მეგობრული კავშირი თითქმის არა დროს შეწყვეტილა რომისა და საქართველოს ეკლესიათა შორის; ეს კავშირი უფრო ხშირათ ნამდვილ ერთობამდე აღწევდა.

ამის დამტკიცება საჭირო იყო რადგანაც ქართულ-კათოლიკურ ტიპიკონის ისტორიაში მრავალჯერ შევხვდებით შემდეგი სთანა დაუჯერებელ ფაქტებს: ქართული ტიპიკონის მიმდევარი კათოლიკები ლათინების და მართლმადიდებლების ეკლესიებშიც დაიარებიან; ბევრი კათალიკოსი აშკარათ აღიარებს კათოლიკურ სარწმუნოებას და ამისდა მიუხედავათ თავს არ ანებებს მართლმადიდებელ სამწყსოს მართვა-გამგეობას.

იმათ საქციელს ვერ მიუხვდება ვერც მართლმადიდებელი და ვერც კათოლიკე; გარნა, უკეთუ ზემოთმოყვანილ საბუთებს გავითვალისწინებთ, გაუგებარი აღარაფერი დარჩება. მართლაც, რა კი საქართველოს ეკლესია არ სცნობდა განხეთქილებას დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიათა შორის დიახაც შეეძლო საქართველოს მართლმადიდებლობას შეეწყნარებინა კათოლიკური დოგმები და ამასთანავე არც კავშირი შეეწყვიტა მშობლიურ ეკლესიასთან.

**მხედარი.**

(შემდეგი იქნება)

---

7) განა არ უნდა ვამაყობდეთ ჩვენი სამშობლოს წარსულით? რაც რუსეთში ესოდენი ბრძოლით და სისხლის ღვრით მოიპოვეს ამ ბოლო დროს. 1634-39 ფართეთ იყო განმტკიცებული ჩვენის წინაპრების ცხოვრებაში.—

8) თამარ. ისტ. 126-127.

ოდ ძლიერი საარტილერიო სროლაა. ერტევიბის ფერმის უბანში, შამპანში ხელით სასროლი ყუმბარებით ჩვენმა ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა გერმანელთა იმ წყებებზე, რომელთაც ეჭირად კორნილეს მთის ორივე ფერდობი. მთის დასავლეთით დავიკავეთ გერმანელთა გამაგრებული თხრილების რამდენიმე ხაზი, ამ მთიდან დაწყებული დობენის სამხრეთით 500 ათასი მეტრის სიღრმეზე. კორნილიეს მთის აღმოსავლეთით ჩვენ წინ წავიწიეთ მაღალი მთის მორუას ფერდობამდე. ამ რაიონში გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა. ლეპრეტოს ტყეში ყვენი არტილერია მედგრად უშენს გერმანელთა სიმაგრეებს.

**მფრინავთა მოქმედება.**

დღის განმავლობაში ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელთა 4 ჰაეროპლანი, ხოლო მტრის 6 საფრენი მანქანა დააზიანეს, რის შემდეგ ეს მანქანები თავის ხაზზე დაეშვენ. ამას გარდა ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს კოლმარსა, გაბეგეიმსა, ფრესკატისა, არსის სადგურსა, ნადნემანისა, ლიუსნსა, ბეტანვილსა, ფაბერჟეს ხიდსა და მტრის სხვა სადგომზე.

**პარიზი.** 17 აპრილი. ოფიციალი ცნობები ახლობელ აღმოსავლეთში სამხედრო მოქმედების შესახებ.

16 აპრილს ღამით ბრიტანეთის ჯარმა მოიგერია ბოლგარელთა კონტრიერიში ინგლისელთა მიერ დაპყრობილ პოზიციებზე. მთელს ფრონტზე საარტილერიო მოქმედებაა, განსაკუთრებით ბრიტანეთის ჯარის ხაზზე.

**ბელგეთის ცნობა.**

**ჰავრი.** 17 აპრილი. სტენსტრატეს რაიონის რამდენსამე ადგილს ბრძოლა სწარმოებს. ლეკზე ჰაერში ბრძოლის დროს ბელგიელთა მფრინავმა ჩამოაგდო გერმანელთა ბიპლანი.

**მესოპოტამიაში.**

**ლონდონი.** 17 აპრილი. ოფიციალი. ოსმალების მე-18 კორპუსის ტყვე ჯარისკაცთა ჩვენებით ოსმალებმა 5, 8 და 9 აპრილს დაკარგეს დაახლოებით 4,000 კაცი.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** 17 აპრილი. ოფიციალი. კამონინას მიდამოებში მტრის რაზმი შემოიჭრა ჩვენს მოწინავე სადარაჯოებში ტონალეს უღელტეხილთან და დაიკავა დროებით ჩვენი პოზიციები. ასპარეზის დანარჩენ ადგილებში ხდებოდა დაზვერვა. გორიცის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა დიდი ზარალი ნახა წამოვიყვანეთ რამდენიმე ტყვე ჯარისკაცი; ღამით მტრის ჰაეროპლანებმა ჩამოყარეს ყუმბარები იზონცოს მიმართულებით. ზარალი უმნიშვნელოა.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**ლონდონი.** 18 აპრილი. ოფიციალი. მოვიგერიეთ გერმანელების იერიში, რომელიც მიმართული იყო ჩვენი ახალი პოზიციების წინააღმდეგ სკარპსა და მონშელიპრის შუა მდებარე ადგილებში. ჩვენი მფრინავები გერმანელების ბრძოლის ხაზის უკან მოქმედებდენ. ყუმბარების საშუალებით ცეცხლი გააჩინეს. და ზიანებულია გერმანელების 3 მატარებელი. განადგურდა მტრის 10 ჰაეროპლანი. 10 ჰაეროპლანი მტრისა იძულებული შეიქნა მიმამულულიყო. 15 ბრიტანეთის ჰაეროპლანი აღარ დაბრუნებულა.

**პარიზი.** 18 აპრილი. ოფიციალი. უაზოს სამხრეთით ჩვენ შევაჩერეთ გერმანელების ცდა, თავზე დასხმოდენ ჩვენს სადარაჯოს. შემანდედამის მთიან ადგილებში გაჩაღდა საარტილერიო ბრძოლა. გუშინ ჩვენ მიერ წამოყვანილი ტყვეთა რიცხვი აღემატება 400 კაცს.

## „დეზერტირობა“.

გაზ. „რუს. სლოვო“-ში ალ. იაბლონოვსკი დეზერტირობის შესახებ სხვათა შორის სწერს: გერმანიის სამხედრო შტაბმა ჩაიდინა უაღრესი უსამართლობ ან ჩვენს ჯარში ჩამოყარა ისკარიოტული ფურცლები შემდეგის შინაარსისა:

„რუსებო, სახლებს მიაშურეთ, იქ უკვე დაიწყეს მიწების დაყოფა, თუ არ იჩქარეთ, ერთ დესეტინასაც ვერ მიიღებთო“ ისკარიოტულმა მოწოდებამ ნაყოფი გამოიღო, გულუბრყვილო ჯარის-კაცები სახლებში მოეშურებიან და მტერს არს ულიბენ. ასი წელიწადი იბრძოდა ვენი გლეხი მიწისთვის, ასი წელიწადი ღვრიდა იგი სისხლს და ცრემლს მიწისთვის და დღეს ამ მიწაზე ვილჰელმი ჰპირდება ჩვენს ხალხს ბედნიერებას.

დეზერტირობა მუდამ დღე იზრდება ჩვენს ნორჩ თავისუფლებას ვილჰელმის ჯავშნიანი მუშტი მოსპობას უქადის. საბედნიეროდ, დღეს გლეხები ბევრ მაზრაში გრძნობენ დეზერტირობისაგან მოსალოდნელ საშინელებას და ბრძოლის ველიდან გამოქცეულ ჯარისკაცებს ყველგან სდევნიან. ასევე მოიქცევიან შეგნებული ჯარისკაცებიც, რომელთაც თავის ქვეყანა უყვართ. ალ. იაბლონოვსკის დეზერტირობის მოსასპობათ ერთ ერთ საშუალებად ის მიაჩნია, რომ თვით გლეხებმა გაგზავნონ ბრძოლის ველზე თავის წარმომადგენლები, რომელნიც უკეთ აუხსნიან და დააჯერებენ გლეხ ჯარისკაცებს, რომ ამ ჟამად ზურგს უკან არავითარი მიწის დაყოფა არ სწარმოებს.

## სომხური პრესა.

გაზეთი „ორიზონი“ სწერს:

დიდ შეცდომათ უნდა ჩაითვალოს მოქმედება ამა თუ იმ ერისა, რომელიც საკუთარ საშუალება-ძალღონით სცდილობს გადასჭრას ეროვნული კითხვა.

ამ ჩვენი აზრის დამამტკიცებელ მაგალითს ჩვენ ვხედავთ იმ უკმაყოფილებაში, რომელიც გამოწვეული იყო ჩვენ მეზობელ ქართველთა მოქმედებით, რომელთაც მოისურვეს დაუყონებლივ ეროვნული მისწრაფების განხორციელება.

ასე მოიქცენ უკრაინის ნაციონალისტებიც.

სომხური გაზეთი ძლიერ სცდება, როცა ამბობს, ქართველები შეეცადენ დაუყონებლივ განეხორციელებიათ თავისი მისწრაფებანიო.

ასეთი სურვილი არცერთ ქართულ პარტიას არა ჰქონია...

ვინც ქართველ ერის წინააღმდეგ ცხად აგრესიულ პოლიტიკას არ აწარმოებს, იმისათვის აშკარა უნდა იყოს, რომ ქართველი ავტონომისტები მხოლოდ იმას სცდილობდენ და სცდილობენ, რომ დამფუძნებელ კრებამდე მოემზადებინად ხალხი ავტონომიისათვის როგორც გონებრივად, ისე ორგანიზაციულად. ასეთ მუშაობას ხომ სომხის ერიც ეწევა?.. მაშ რა მიაჩნია „ორიზონს“ „შეცდომად“?

აქ ხომ ლოღიკური წინააღმდეგობა გამოდის. ავტონომიისათვის სამზადისი, თუ სომხის ერისთვის „არ არის შეცდომა“, ქართველ ერისათვის იგივე მზადება „შეცდომად“ რად უნდა ჩაითვალოს!

## ეროვნული კითხვა.

**უკრაინის კონგრესი.**

უკრაინის კონგრესი დასრულდა. არჩეულ იქნა ცენტრალი რადა ახალი შემადგენლობით. იგი შესდგება 150 წევრისაგან. რადაში შედიან წარმომადგენლები გუბერნიებისა, ქალაქებისა, პარტიებისა, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა, სამხედრო და ფლოტის კომიტეტებისა, გლეხთა კავშირისა და სხვა.

რადას უფლება აქვს შეავსოს თავისი შემადგენლობა 15 პროცენტით, მაგრამ ისე, რომ ამ რიცხვში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებიც შევიდნენ.

რადას თავმჯდომარედ აირჩიეს პროფ. გრუშევსკი, ხოლო მის ამხანაგებად დრამატურგი ვინნიჩენკო (სოც. დემ.) და რადიკალ-დემოკრატი ეფრემოვი.

დიდის თანაგრძნობით მიღებულ იქნა გრუშევსკის წინადადება, რუსეთის ყველა ერს სალამი გაეგზავნოსო.

კონგრესმა მიიღო რამოდენიმე რეზოლიუცია, რომელთაგან ზოგიერთი აქ მოგვყავს:

1) უკრაინის ეროვნულმა კონგრესმა დაადგინა: ა) მოეთხოვოს დროებითს მთავრობას, რომ მან აკრძალოს მიწებისა და ტყეების გაყიდვა, დაგირავება და გრძელვადიანი იჯარით გაცემა, აიკრძალოს ტყეების გაჩეხვა და მიწის წიაღში მყოფ სიმდიდრეთა გაყიდვა, დაგირავება და გრძელვადიანი იჯარით გაცემა, აიკრძალოს ქარხნების გაყიდვა, დაგირავება და გრძელვადიანი იჯარით გაცემა. ბ) მოეთხოვოს მთავრობას, რომ ეს აკრძალვა უკრაინის ტერიტორიისათვის ძალაში იყოს 1917 წლის 1—ლი მარტიდან იმ დრომდე, სანამ დამფუძნებელი კრება ყველა აქ მოყვანილ კითხვას არ გადასწყვეტს.

2) უკრაინის ეროვნული ყრილობა ავალებს ცენტრალ რადას, რაც შეიძლება ჩქარა ჩამოაგდოს მჭიდრო კავშირი იმ ერთა შორის, რომელნიც რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას მოითხოვენ.

3) უკრაინის ეროვნული ყრილობა ავალებს ცენტრალ რადას თავისი დელეგატებისა და ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისაგან შეადგინოს კომიტეტი ავტონომიურ უკრაინის სტატუტის შესამუშავებლად, რის შემდეგ სტატუტი დასამტკიცებლად გადაეცემა უკრაინის ყრილობას, რომელიც ისე იქნება არჩეული, რომ ამ უკრაინის მთელი ტერიტორიის მცხოვრებთა ნებისყოფა გამოხატოს.

შესდგა ბესარაბიის ახალი ეროვნული ორგანიზაცია, რომელმაც მიზნათ დაისახა მოიპოვოს ავტონომია ბესარაბიის მოლდავანელ მცხოვრებთათვის. მოლდავანელთა ეროვნული ორგანიზაცია მოუწოდებს მთავრობას, აღადგინოს 1818 წ. გაუქმებული ავტონომია.

მიწის საკითხში მოლდავანელთა ორგანიზაცია პროტესტს აცხადებს ჩასახლების პოლიტიკის წინააღმდეგ და მოითხოვს მიწა მიეცეს ბესარაბიის მშრომელ მასას. ეკლესიის საკითხში იგი მოითხოვს მოლდავანელთა ეკლესიის სრულ ავტოკეფალობას.

## გლეხობა.

სარატოვში დასრულდა გლეხთა ყრილობა, რომელმაც გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია. რუსეთის რესპუბლიკის ფარგლებში მოისპოს მიწაზე კერძო საკუთრება და მამულები ხალხის ხელში გადავიდეს. ასეთივე ხასიათის დადგენილება გამოიტანა ჩერნიგოვის გლეხთა ყრილობამ, მაგრამ ამასთანავე დაადგინა, რომ მიწის კითხვის საბოლოო გადაჭრა დამფუძნებელ კრებას გადაეცეს. მანამდი კი აიკრძალოს ყოველგვარი დარბევა, ძალით მამულის ჩამორთმევა და მუშაობის შენელება.

რანენბურგის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა, იმ მესაკუთრეებს, რომელნიც ვერ ამუშავებენ მიწებს, იძულებით ჩამოერთვათ და მამული გადაეცეს მიწის დამმუშავებელთ. ამ ამბის გამო მიწად მოქმედების მინისტრმა, შინ გარევმა, შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა რანენბურგის აღმასრულებელ კომიტეტს:

გვეცან რა რანენბურგის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებას, გატყობინებთ, რომ ძალით მიწის ჩამორთმევა ყოვლად შეუსაბამოა, იგი სახელმწიფოს დიდი უბედურებით ემუქრება, რადგან მრავალ რიცხოვან მემამულეთა შორის მღელვარებას გამოიწვევს. მინისტრი ხაზ გასმით აღნიშნავს, მიწის კითხვის გადაჭრა მხოლოდ დამფუძნებელ კრებას შეუძლიაო.

ვსთხოვ აღმასრულებელ კომიტეტს სახელმწიფოს კეთილდღეობისთვის ცენტრის ნება დაურთველად ნურავითარ კანონს ნუ გამოსცემსო.

სარტოვის მაზრის გლეხებმა დაადგინეს საერთო ძალით დაამუშაონ დიდ მემამულეთა მამულები.

ნოვოჩერასკის მემამულენი იმის მოლოდინშია, რომ **აგრარული უთანხმოება, მთ-ხდება** მამულებს სტოვებენ და ქალაქში სახლდებიან.

მიწის მუშათა ჯგუფებმა აიკლეს მემამულეთა სახლები და მიისაკუთრეს მამულები. პენზას, ვოლოგდას და კრასნოიარის გლეხობამ თავის ყრილობაზე დაადგინა ყოველ გვარად მხარი დაუჭიროს დროებით მთავრობას, ყოველის საშუალებით ებრძოლის გარეშე მტერს და მიწის კითხვის მოგვარება სახელმწიფოს მომავალ დამფუძნებელ კრებულს გადასცეს.

## რუსეთი.

**საძმო საფლავზე.**

9 აპრილს რუსეთში ჩამოსულმა ინგლისისა და საფრანგეთის სოციალისტებმა ინახულეს საძმო საფლავი რათა რუსეთის თავისუფლების მებრძოლთათვის უკანასკნელი ვალი გადაეხადა. საფლავზე დადგმულ იქნა მხატვრული ვერცხლის გვირგვინი.

საფრანგეთის დეპუტატმა მუტენმა წარმოსთქვა სიტყვა: „თქვენი ბრძოლა თავისუფლებისათვის არის ბრძოლა არა რუსეთის, არამედ მთელი მსოფლიოს თავისუფლებისათვის და ამ თქვენს ძლიერს მისწრაფებას ჩვენა გვრძნობთ ისე ნათლათ, თითქოს თქვენ იბრძოდეთ ჩვენი თავისუფლებისათვის.“

ამ დროს საძმო საფლავზე მოვიდა პლეხანოვი, რომელმაც აგრეთვე წარმოთქვა მოკლე სიტყვა.

პლეხანოვი მოუწოდებდა მოქალაქეებს თავიანთი გულით დაეცვათ ის წმიდა მიწა, სადაც ასაფლავია თავისუფლებისათვის მებრძოლნი.

პლეხანოვის სიტყვამ დიდი გავლენა მოახდინა. ენტუზიაზმი იმდენათ დიდი იყო, რომ მსმენელთაგან ერთმა მასწავლებელთაგანმა წამოიძახა:

— ფიცი დასდეთ, რომ თქვენ ამ მიწას დაიცავთ.

ხალხმა ერთხმათ უპასუხა—ვფიცავთ, ვფიცავთ, ვფიცავთო.

**მთავრობის მოწოდება.**

დროებითმა მთავრობამ დონის მხრის მცხოვრებთადმი მიმართული მოწოდება გამოუშვა, რომელშიაც მიუთითებს, რომ აუცილებელია მოუცადოთ მიწის საკითხის დამფუძნებელ კრებაზე გადაწყვეტას. მანამ კი—ნათქვამია მოწოდებაში—შეუძლებელია თავისი ნებით სხვისი მიწების ითვისება და ხვნა, სხვისი ტყეების აჩეხა და სხვადასხვა.

თვითნებობით მიწის კითხვის გადაწყვეტა მავნებელია არა მარტო დონის მხარისათვის, არამედ მთელი სახელმწიფოსათვის. რადგან შესაძლოა ერთმანეთს დაეტაკებიან კაზაკები და გლეხები და აგრეთვე მემამულეები და გლეხები. მთელი მიწები დაუმუშავებელი დარჩება, ხოლო პური დღეს რუსეთისათვის დიდი მნიშვნელობის კითხვაა. თუ რუსეთს პური ექნება იგი განამტკიცებს თავისუფლებას და მრისხანე მტერს დაამარცხებს. დროებითი მთავრობა ამტკიცებს, რომ ისტორიული უფლება კაზაკებისა მიწებზე უცვლელი დარჩება.

**რევოლიუციის ჟანდარმები.**

საზიზღარ ფაქტს გადმოგვცემს გაზეთი „რეჩი“

ტიუმენში რევოლიუციის დროს რედაქტორ-გამომცემელი ადგილობრივი დემოკრატიული გაზეთის „ერმაკ“ ისა, ეფრემეევი, ტიუმენის აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით შეპყრობილ იქნა. თითონ ეფრემეევი ციხეში გაისტუმრეს, ხოლო სტამბა გაზეთისა დაკეტეს და აგრეთვე გაჩხრიკეს რედაქტორის ბინა, სადაც ვერაფერი აღმოაჩინეს.

შემდეგ ტობოლის გუბერნიის კომისარის და კერძო ვექილის ჰიგნატის განკარგულებით, ეფრემეევი გადაასახლეს სურგუთის მხარეში.

მთელი დანაშაული ეფრემ ევისა მდგომარეობდა იმაში, რომ იგი თავისი გაზეთის ფურცლებზე ენერგიულათ მოითხოვდა აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარის კოლოველნიკოვის დათხოვნას, როგორც მსხვილ ვაჭართა ფირმის წარმომადგენლისას. ეს ისე განმარტეს, თითქოს ამით ეფრემეევი ხალხს „აბუნტებდა“ და აი, სწორეთ ამ ნიადაგზე მოხდა ის, რაც ზევით მოვიხსენიეთ.

ჩქარი დეპეშით იუსტიციის მინისტრმა კერენსკიმ მოითხოვა ეფრემეევის განთავისუფლება.

**რასპუტინის მსხვერპლის ბედი.**

ტომსკის გაზეთები გადმოგვცემენ რომ 15 მარტს ტომსკის ფსიხიატრიულ სამკურნალოდან გაანთავისუფლეს გრიგოლ რასპუტინის მსხვერპლი, ფ. გუსევის ქალი, რომელმაც დაჰყო ფსიხიატრიულ სამკურნალოში 1915 წ. 18 მარტიდან.

როგორც ვიცით, გუსევის ქალმა განიზრახა რასპუტინის მოკვლა და ეს განზრახვა კიდეც უნდოდა სისრულეში მოეყვანა ტობოლის გუბერნიის სოფელ პოკროვსკაიაში, მაგრამ ვერ შეასრულა. იგი შეიპყრეს და მიუსაჯეს კატორღა. მაგრამ, ვინაიდან ავადმყოფათ იცნეს, იგი გაგზავნილ იქნა ტომსკის ფსიხიატრიულ სამკურნალოში, სადაც დღემდე იმყოფებოდა, ეხლა ექიმებმა შემოწმების გამოარკვიეს, რომ გუსევის ქალი სრულიად ნორმალური ადამიანი ყოფილა.

## უცხოეთი.

**იმპერატორ კარლოსის რესკრიპტი.**

**კოპენჰაგენი.** 17 აპრილი. ვენიდან იტყობინებიან: მთავრობის ორგანომ გამოაქვეყნა იმპერატორ კარლოსის რესკრიპტი გრაფ ტისსას მიმართ იმპერატორი ამ რესკრიპტში ამბობს, ყველა პოლიტიკურ პარტიათა ლიდერებისა და პარლამენტის უმცირესობის წარმომადგენელთა ნახვის შემდეგ საჭიროდ არა ვსცნობ ახლანდელი მთავრობის გადაყენებას. ამ მთავრობას ახლა დეპუტატთა პალატაში უმრავლესობა ემხრობა, რადგანაც ეს მთავრობა ამ მძიმე განსაცდელის ჟამს დიდ მამულიშვილურ აღფრთოვანებას იჩენს თავის მოღვაწეობაში. იმპერატორი კარლოსი გრაფ ტისსასა და მთავრობის სხვა წევრებს გულწრფელ ნდობას უცხადებს. მომავალშიც თქვენ განაგეთ საქმეებიო. კარლოსმა მთავრობას კანონპროექტები გადასცა შესაწყნარებლად. იმპერატორი მთელს ერს მადლობას სწირავს უანგარო მამულიშვილობის გამო. ამასთანავე ამბობს: აუცილებლად უნდა ვიღონოთ რამ, რომ ხალხის მდგომარეობა გავაუმჯობესოთ. საჭიროა საარჩევნო უფლების გაფართოება ამ დიად მომენტში ჩვენი სახელმწიფოს ცხოვრების პირობებისა და ხალხის მიერ მიტანილ მსხვერპლის თანაბრად.

**ახალი სამინისტრო.**

**ქრისტიანია.** 15 აპრილი. სტორტინგმა 81 ხმის უმრავლესობით 32 ის წინააღმდეგ მიიღო სამხედრო საჭიროების დამაკმაყოფილებელ ახალ სამინისტროს დაარსების კანონპროექტი.

**ბილლის უარყოფა.**

**ვაშინგტონი.** 16 აპრილი. დეპუტატების პალატამ 209 ხმის უმრავლესობით 98-ის წინააღმდეგ უარყო მთავრობის ბილლის შესწორება ჯარში მოხალისეთა გაწვევის შესახებ.

რედაქტორ გამომცემელი
**დ. ბ. კვირკელია.**

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. — | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისსაკენ | — დილის | 11 ს. | „ |
| „ | — ღამის | —11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |


ს. ბუგეულის რაჭის მაზრაში პირველ აპრილიდან

# განახლდა

ძმ. წულუკიძეების **გოგირდის აბანოს** მუშაობა. აბანოსთან არის, ცხრა მოწყობილი ოთახი ავათმყოფებისათვის და სუფთა საბანაო თეთრი ქვის ვანები. იქვე იშოვება ყოველგვარი სანოვაგე მიმსვლელ ავათმყოფებისთვის.
გამგე **ივანე სოხაძე.**

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ღებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექოვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს.
(სისხლში შესხმა „606“ და „914“) დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს.
მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**ა. დ. მაჭავარიანი** (ყოფილი უფროსი ექიმი სმეცკის გულსუსტებიანთა სანატორიისა) იღებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფებს დილის 8—1 და საღამოს 6—8 საათამდე.
დადიანის ქ. სახლი ჩაჩანიძის (წულეისკირისეული


სტამბა „ძმობა“ ქუთაისში, პუშკინის ქუჩა.